პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 194 (3171)

1966 წ. 5 ოქტომბერი, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი



◆ **მოსკოვი,** 4 ოქტომბერი. დღეს მეხიკოში გაფრინდა საბჭოთა სპორტსმენების ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 12-20 ოქტომბერს აქ გამართულ „ოლიმპიურ კვირეულში“. საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში შედიან: მსოფლიო ჩემპიონები — ტანმოვარჯიშეები მ. ვორონინი, ნ. კუჩინსკაია, მოჭიდავე რ. რურუა, მოფარიკავეები ა. ნიკანჩიკოვი, გ. სვეშნიკოვი და ტ. სამუსენკო, ევროპის ჩემპიონები — მძლეოსნები რ. კლიმი, ი. ლუსისი, ვ. კუდინსკი, მოკრივე ვ. აგეევი, წყალში მხტომელები ვ. ბაკლანოვა, ნ. კუზნეცოვა, მ. საფონოვი და სხვ.

◆ **ობერჰაუზენი,** 4 ოქტომბერი. აქ წარუმატებელი გამოდგა საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა სტარტი მესამე მსოფლიო ოლიმპიადაზე. სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. კოზლოვსკაიამ წააგო პოლიქრონიადესთან, ნ. გაფრინდაშვილმა უარეს მდგომარეობაში გადადო თავისი პარტია ნიკოლაუსთან. ჯერჯერობით წინაა რუმინეთის გუნდი — 1:0.

◆ **კიევი,** 4 ოქტომბერი. საკავშირო ჩემპიონატზე ტყვიის სროლაში დიდი წარმატება მოიპოვეს ლუტბერგმა, იაროშმა, პარფიუმოვიჩმა და კორნეევმა. წოლელა მდგომარეობიდან გუნდურ სროლაში მათ დააგროვა 1589 ქულა და 25 ქულით გააუმჯობესეს ოფიციალური მსოფლიო რეკორდი, რომელიც გფრ-ს გუნდს ეკუთვნოდა.

იუბილარი მოწყენილია

„სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის № 1 ფავორიტია. ამ გუნდმა იტალიელებთან მატჩში უმაღლესი კლასის თამაში გვაჩვენა. ევროპის 7-გზის ჩემპიონს ჰყავს კალათბურთელი, რომელიც წარმატებით გამოვიდოდა ვაჟთა ტურნირშიც. ეს არის მსოფლიოში ყველაზე მაღალი კალათბურთელი ქალი რ. პროკოპენკოსალიმოვა (2 მეტრი)“...

ასეთია რუმინეთის პრესის აზრი. ყველა აღტაცებულია საბჭოთა გუნდის თამაშით ჩემპიონატის სტარტზე და მისი ბრწყინვალე გამარჯვებით უნგრელებთან (მეორე შეხვედრაში). ამ დღეს, კლუჟის სპორტთამაშობათა დარბაზში გულთბილად მიესალმა უნგრეთის ნაკრების კაპიტანს კ. კოვაჩს, რომელმაც ეროვნული გუნდის შემადგენლობაში 150-ე შეხვედრა ჩაატარა. კოვაჩმა მადლობა გადაუხადა ხალხს მილოცვისთვის, მაგრამ სინანულით დასძინა, რომ ამ საზეიმო ატმოსფეროს საბჭოთა კალათბურთელებთან მარცხის გარდუვალობა ამუქებს.

სსრ კავშირის ნაკრებმა გულთბილად მიულოცა იუბილარს და... ისეთ თავბრუდამხვევ ტემპში დაიწყო თამაში, რომ უნგრელებმა ბრძოლა ფაქტიურად მე-10 წუთზე შეწყვიტეს. პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენები წინ იყვნენ 21 ქულით (39:18). შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრებმა მოიგო 45-ქულიანი სხვაობით — 78:33.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: რუმინეთი — პოლანდია 86:67, ბულგარეთი — საფრანგეთი 63:56, ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია 74:56, გდრ — გფრ 105:51.



შოთას მწვერვალზე

დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში ქუთაისელმა და ლენტეხელმა ალპინისტებმა გადაწყვიტეს ერთობლივად დაელაშქრათ შოთა რუსთაველის სახელობის მწვერვალი. 23 სექტემბერს ალპინისტთა ექსპედიციამ 14 კაცის შემადგენლობით (ხელმძღვანელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ახვლედიანი) გეზი აიღო ამ მწვერვალის კალთებისკენ. თავდაპირველად დაბანაკდნენ უშგულში, შემდეგ კი ენგურის ხეობით გასწიეს კარეტის ქედამდე. სერიოზული სამზადისის გავლის შემდეგ, დადგა იერიშის დაწყების დღეც — 28 სექტემბერი. მოიერიშეთა ჯგუფში იყვნენ სპორტის ოსტატები შ. მარგიანი (ხელმძღვანელი), ჯ. კახიანი, ჯ. გუგავა, გ. გულბანი, ვ. გაბელაშვილი და კ. დადეშქელიანი. მოიერიშეებს ასვლა მოუხდათ მეტად ძნელ პირობებში, მაგრამ გამარჯვების უსაზღვრო წადილს რა დააოკებდა. უნდა ითქვას, რომ ალპინისტებმა ჯერ კიდევ გაუკვალავი გზით ირჩიეს მწვერვალის დაპყრობა. ეს იყო სრულიად ახალი, ტექნიკურად მეტად რთული გზა. და აი, საწადელიც ასრულდა: მოიერიშეებმა შოთას სახელობის მწვერვალის უმაღლეს საფეხურს მიაღწიეს. აი, 1965 წლით დათარიღებული ბარათიც. უკანასკნელად აქ შარშან ყოფილან. 29 სექტემბერს კი ეს ბარათი გამარჯვებულებმა უკან ჩამოიტანეს, ხოლო იქ ახალი, დიდი პოეტისადმი უსაზღვრო სიყვარულით სავსე უწყარი დატოვეს.

დ. ბედენიძე.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — **შოთა რუსთაველის სახელობის მწვერვალი;** ქვევით — **მოიერიშეთა ჯგუფი** (მარცხნიდან) — **შ. მარგიანი, ჯ. კახიანი, გ. გულბანი, ჯ. გუგავა, კ. დადეშქელიანი და ვ. გაბელაშვილი.**

ფოტო ე. ციციაშვილისა.

სპორტული ოქტომბერი

ბევრი საინტერესო ღონისძიების მოწმენი გახდებიან ამ თვეში სპორტის მოყვარულები. ოქტომბერში დამთავრდება სეზონის ყველაზე მასობრივი შეჯიბრება — პროფკავშირულ-კომკავშირული მძლეოსნური კროსი. 16 ოქტომბერს ვოლგოგრადში, ირკუტსკში, ნოგინსკსა და პერმში იასპარეზებენ ზონალურ შეჯიბრებათა მონაწილენი. ერთი კვირის შემდეგ კი ვილნიუსში გაიმართება ფინალი.

ოქტომბერში ჩატარდება საკავშირო ჩემპიონატები სპორტის შემდეგ სახეობებში: ბადმინტონში (კაუნასი, 8-16); კრივში (გუნდური, კიროვაკანი, ლენინაკანი, 18-23); თავისუფალ ჭიდაობაში (ალმა-ათა, ნოვოსიბირსკი, 7-9); კლასიკურ ჭიდაობაში (სვერდლოვსკი, 21-23 და ლენინაკანი, 26-28); სამბოში (თბილისი, 29-31); წყალბურთში (მოსკოვი, 16-22); ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში (ასტრახანი, 7-9); საიალქნო სპორტში (სევასტოპოლი, 1-9); თანამედროვე ხუთჭიდში (გუნდური, ერევანი, 17-21); ტყვიის სროლაში (კიევი, 2-9); მაგიდის ჩოგბურთში (კაუნასი, 18-31); შაშში (გროზნო, 6-19).

6-9 ოქტომბერს ერევნის ტრეკზე ჩატარდება სსრ კავშირის თასის გათამაშება საველოსიპედო სპორტში. თასისთვის იბრძოლებენ წყალში მხტომელებიც (სარატოვი, 22-23); გაიმართება ახალგაზრდა მოკრივეთა საკავშირო შეჯიბრება. იგი მოეწყობა ალმა-ათაში (29 ოქტომბერი-4 ნოემბერი).

100-ზე მეტ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი სპორტსმენები. მათგან ყველაზე დიდმნიშვნელოვანია ევროპისა და მსოფლიოს პირველობა ძალოსნობაში, მოჭადრაკე ქალთა მესამე ოლიმპიადა (გფრ, 24 ოქტომბრამდე) და მოჭადრაკე ვაჟთა ოლიმპიადა (კუბა, 25 ოქტომბერი-20 ნოემბერი). საბჭოთა სპორტსმენების დიდი ჯგუფი გაემგზავრება მეხიკოში, სადაც მონაწილეობას მიიღებს აქ გამართულ „ოლიმპიურ კვირეულში“.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდები საერთაშორისო შეხვედრებს გამართავენ მხატვრულ ტანვარჯიშში (ჩეხოსლოვაკია), თანამედროვე ხუთჭიდში (გდრ), ხელბურთში (უნგრეთი, სსრ კავშირი), ძიუდოში (იაპონიის გუნდთან, სსრ კავშირში). 16 ოქტომბერს სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ბერლინში შეხვდება გერმანელ კოლეგებს, ხოლო პირველი ეროვნული ნაკრები — თურქეთის გუნდს. 23 ოქტომბერს კიევში ითამაშებენ სსრ კავშირისა და გდრ-ის მეორე ნაკრები გუნდები.

დიდი ანგარიშით

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 4 ოქტომბერი.

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 0:3 (0:2).

„ლოკომოტივი“: პოლიაკოვი, ბასალაევი, პრუდნიკოვი, ხორლინი, დავიდოვი, ინოგამოვი, პეტროვი, კოზლოვი, სევოსტიანოვი (შელუდკო), გერშკოვიჩი, კოროტკოვი.

„დინამო“: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, შერგელაშვილი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, მეტრეველი, ასათიანი, დათუნაშვილი.

მსაჯი ნ. კირსანოვი (კიევი).

თბილისის „დინამომ“ მაყურებელს ლამაზი და შინაარსიანი ფეხბურთი აჩვენა. მატჩის პირველსავე წუთებიდან ინიციატივა ხელთ იგდეს ქართველმა ფეხბურთელებმა, რომლებიც ამჯერად შეცვლილი შემადგენლობით თამაშობდნენ. სტუმრების თავდამსხმელთა რამდენიმე სახიფათო გარღვევა დროზე უვნებელყო მეკარე პოლიაკოვმა.

მაგრამ „დინამოს“ შეტევები იმდენად მწვავე და სახიფათო იყო, რომ არ შეიძლებოდა მათ გოლი არ მოჰყოლოდა. რკინიგზელებისთვის საბედისწერო გამოდგა თამაშის 34-ე წუთი. ილიადიმ მასპინძლების საჯარიმო მოედანზე ოსტატურად „დაკიდა“ ბურთი და დათუნაშვილმა გახსნა ანგარიში — 1:0. ეს იყო თბილისელი ბომბარდირის მე-16 გოლი საკავშირო ჩემპიონატში.

„დინამოს“ ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია არც ამ გოლის შემდეგ. 42-ე წუთზე ასათიანმა ძლიერი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა. მასპინძლებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს. ერთ-ერთი მათგანი თითქოს თბილისელთა კარის აღებით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მეკარე ურუშაძემ „მკვდარი“ ბურთი აართვა გერშკოვიჩს. ეს მოხდა შეხვედრის მე-60 წუთზე. მატჩის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა ხუციშვილმა მესამე ბურთი გაიტანა.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი



სსრ კავშირის პირველობა

„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „პახტაკორი“ (ტაშკენტი)	5:0
„დინამო“ (კიევი) — ცსკა	4:0
ასკ (როსტოვი) — „დინამო“ (მოსკოვი)	0:0
„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	0:0
„კაირატი“ (ალმა-ათა) — „არარატი“ (ერევანი)	0:0
„დინამო“ (მინსკი) — „კრ. სოვეტოვი“ (კუიბ.)	0:0

„ა“ კლასი I ჯგუფი

მდგომარეობა 5 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	29	19	9	1	57—12	47
ცსკა	26	15	6	5	54—34	36
„ტორპედო“ (მოსკოვი)	29	14	8	7	46—28	36
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	29	14	7	8	46—23	35
ასკ (როსტოვი)	28	15	4	9	42—38	34
„დინამო“ (თბილისი)	28	10	10	8	36—26	30
„დინამო“ (მინსკი)	29	10	10	9	32—30	30
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	27	8	14	5	25—23	30
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	24	11	7	6	33—28	29
„კაირატი“ (ალმა-ათა)	27	10	8	9	24—27	28
„დინამო“ (მოსკოვი)	28	9	9	10	35—31	27
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	30	10	7	13	32—44	27
„შახტიორი“ (დონეცკი)	26	11	4	11	26—30	26
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	28	7	11	10	24—30	25
„არარატი“ (ერევანი)	28	6	10	12	18—41	22
„ტორპედო“ (ქუთაისი)	28	7	5	16	34—52	19
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	28	3	13	12	17—36	19
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	28	6	4	18	22—42	16
სკა (ოდესა)	28	1	10	17	13—41	12

ჩემპიონები, პრიზიორები...

უჟგოროდი, 8 ოქტომბერი. დაძაბული და საინტერესო ბრძოლით აღინიშნა სსრ კავშირის პირველობა მოტოკროსში. **350 კბ სმ** კლასის მანქანებით რბოლა მოიგო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლატვიელმა რ. რეშეტნიკსმა. იეევსკელი მოტოციკლისტები ს. ჩირცევი და ვ. ჩაშჩიპოვი II-III ადგილებზე აღმოჩნდნენ.

დანარჩენ კუბატურებში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: **250 კბ სმ** — 1. ვ. გორულკო (კოვროვი), 2. ტ. სეპა (ესტონეთი), 3. ვ. სიომინი (მოსკოვი).

175 კბ სმ — 1. ბ. დანაბურგი (კოვროვი), 2. ვ. ლეონოვი (ტაჯიკეთი), 3. ვ. ბრუნესი (ლატვია).

125 კბ სმ — 1. ა. სიროტკინი, 2. ი. ნესტეროვი (ორივენი — ლენინგრადი), 3. ა. ბიელიაუსკასი (ლიტვა).

ეტლიანი მოტოციკლებით რბოლაში პირველობა მოიპოვეს ა. პორტიაგინმა და ა. რაუტენფელდმა. II საპრიზო ადგილი წილად ხვდათ: ი. სოკოლოვსა და ვ. დროჟინს (ყველანი — საბჭოთა არმია).

ეროვნული ბიბლიოთეკა



კვირას, 2 ოქტომბერს, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული შეჯიბრებები გაიმართა დედაქალაქის სხვადასხვა ბაზებზე. იპოდრომზე მოეწყო დიდი პოეტის სახელობის პრიზის გათამაშება 2-კილომეტრიან დოლში.

სურათებზე: ზევით — დოლში გამარჯვებული ვ. გოლევი; ქვევით — შოთა რუსთაველის სახელობის პრიზისთვის ბრძოლის მომენტი.

ფოტო თბილისის მე-10 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ა. გურასაშვილისა.

როგორც ვიუწყებოდით, თბილისში, მტკვარზე გაიმართა მოსკოვის, სოჭისა და თბილისის გუნდების ამხანაგური მატჩი საწყლოსნო თხილამურებით. შეჯიბრება შ. რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილეს მიეძღვნა. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა სამჭიდში გამარჯვებულნი გამოვიდნენ სსრ კავშირის წლევანდელი პირველობის აბსოლუტური ჩემპიონი ლ. ნეჩაევა (მოსკოვი) და მისი თანაგუნდელი მ. გოხბერგი.

სურათზე: ლ. ნეჩაევა (მარცხნივ) და მ. გოხბერგი სამახსოვრო ჯილდოებით ხელში.

ფოტო მ. იაშვილისა.

ბოლო ადგილზე

20 გუნდის 192 სპორტსმენი მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის პროფკავშირების სპორტული კლუბების მოცურავეთა პირად-გუნდურ ჩემპიონატში. ტურნირში, რომელიც ბათუმის „სპარტაკის" აუზში გაიმართა, ძალებს ცდიდა რუმინეთის მოზარდთა ნაკრებიც.

შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი, რომელმაც I ადგილი დაიკავა. II იყო ტაშკენტის „სტარტი", III — ნორილსკის „ზაპოლიარნიკი".

მეტისმეტად სუსტად იყვნენ მომზადებულნი თბილისის სპორტული კლუბები — „გამარჯვება" და „განთიადი". პირველმა 2727 ქულა მოაგროვა, თითქმის 6000 ქულით წააგო ჩემპიონთან და მე-19 ადგილი დაიკავა. „განთიადმა" კი ძლივს დააგროვა 562 ქულა და ბოლო ადგილზე დამკვიდრდა. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს სპორტული კლუბები სუსტად ემზადებიან საიუბილეო სპარტაკიადისთვის.

ასპარეზობაში ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. მაგალითად, ვ. ბელიამ 200 მეტრზე ვაჟთა ზურგზე ცურვაში 2.27,5 აჩვენა, III ადგილი მოიპოვა და რუმინეთის მოზარდთა ახალი რეკორდი დაამყარა. გაიმარჯვა ა. კრიუკოვმა (მოსკოვი, სპორტკლუბი „ზილი" — 2.25,0), 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ვაჟთა ცურვა მოიგო საერთაშორისო სპორტის ოსტატმა ს. გუსევმა (მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი) — 58,0. ქალებში ყველას აჯობა საერთაშორისო სპორტის ოსტატმა ტ. აკამოვამ („ზილი") — 1.07,5. საქართველოს სპორტსმენები უსუსურად გამოვიდნენ პირად ჩათვლაშიც. მაგალითად, 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში განთიადელებმა ი. ბოროდინმა (3.03,3) და ს. სერგევანცევმა (3.13,3) ბოლო, 24-ე და 25-ე ადგილები დაიკავეს. აქ გამარჯვება წილად ხვდა ს. კონოვს (ტაშკენტი, „სტარტი") — 2.18,0.

ფაქტიურად ეს შეჯიბრება იყო სპორტული კლუბების ძალთა ერთგვარი შემოწმება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წინ.

თ. მურვანიძე.

• • •

სურათზე: ვ. ბელია (რუმინეთი) ასპარეზობისას.

ფოტო ა. ედიგაროვისა.

ორი იუბილეს მიეძღვნა

5 დღეს ფრიალებდა თეთრი წყაროს რაიონული სპარტაკიადის ალამი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისა და შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს. ამ ხნის განმავლობაში რაიონის 12 კოლექტივის ახალგაზრდობა პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა სპორტის 9 სახეობაში. სპარტაკიადა ჩატარდა ქვეჯგუფებში.

საინტერესო გამოდგა თეთრი წყაროს, მანგლისისა და ასურეთის გუნდების ასპარეზობა ხელბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთსა და ფრენბურთში გაიმარჯვეს თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა, ხოლო ხელბურთში — მანგლისის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა. თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებს დარჩათ პირველობა მძლეოსნობაშიც. კრივში გაიმარჯვა მანგლისის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა, ქართულ ჭიდაობაში ტოლი არ ჰყავდათ სოფელ ჯორჯიაშვილის მოჭიდავეებს. სოფელ ასურეთის ფრენბურთელ ქალთა გუნდი პირველი იყო, ხოლო მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა მოიგეს მანგლისის სკოლების ნაკრების სპორტსმენებმა.

კომპლექსურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ თეთრი წყაროს საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენები (ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე პ. კარაჩაუშევი). II ადგილზე გავიდნენ მანგლისის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი (ი. კოტრიკაძე), III — სოფელ ასურეთის წარმომადგენლები (რ. გოცირიძე).

თ. ხუციშვილი,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.

უდანაშაულო დევნილი

ამბავი, რომელსაც აქ გიამბობთ, ქუთაისში ხდება. გაგაცნობთ უსამართლობის მსხვერპლის ვინაობას — ლ. ლილუაშვილი, თანამედროვე ხუთჭიდში პირველი ქუთაისელი სპორტის ოსტატი. პროფესიით პედაგოგი. უკანასკნელ ხანს მუშაობდა ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის ფიზაღზრდის მასწავლებლად. სპორტული ასპარეზობებიდან კარგად ნაცნობ ახალგაზრდას, ამჟამად ქუთაისის სასტუმრო „თბილისში" შევხვდით. ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო მისდამი უსამართლოდ მიზღული განაჩენის ამბავი.

... 1965 წლის აპრილიდან ლ. ლილუაშვილი ცურვის სექციას ხელმძღვანელობს სატყეო ტექნიკუმში. სექტემბრიდან პედაგოგადაც იწყებს მუშაობას და ფიზკულტურის კაბინეტსაც უდგას სათავეში. საზოგადოებრივ საწყისებზე ამეცადინებს ფრენბურთელ გოგონებს (ფულს კი სხვა იღებდა), უშვებს სპორტულ კედლის გაზეთს, აქტიურად ეხმარება ფიზკულტურის კოლექტივს. სასწავლებელში მხედველობიდან არავის გამორჩენია წყნარი, თავმდაბალი მუშაკის საქმიანობა. ავისმქმნელებმაც სათანადოდ „შეაფასეს" მისი უწყინარი ბუნება. პირველად ბუღალტერიაში მოსინჯეს მისი ხასიათი. ცურვის სექციის მეცადინეობისთვის გამოწერილი ივნისის თვის ხელფასი ჩაიჯიბეს. ლ. ლილუაშვილმა პარტორგანიზაციის მდივან გ. ვახტანგაძესთან შეიტანა განცხადება. აღმოჩნდა, რომ თანხა — 33 მანეთი მინდობილობის გარეშე ფიზაღზრდის უფროს მასწავლებელს ჯ. კვიციანს მიეღო და უწყისზე ხელიც კი მოეწერა. ცაცრონის თქმის არ იყოს, ფული გახდა ყველა მოქმედების სათავე და მიზეზი. პრინციპულობისთვის აითვალისწუნეს ახალგაზრდა პედაგოგი. დირექტორმა ი. კირტავამ მკაცრი ზომების მიღების ნაცვლად, აპატია დამნაშავეთ, მერე კი შურისმაძიებლებთან ერთად თავადაც მარჯვე მომენტს ეძებდა „გათამამებული" სპორტსმენის თავიდან მოსაცილებლად. მომენტი აყოვნებდა, ლოდინი კი სულსა და გულს უვიწროებდა ავისმდომთ.

ქაღალდი იყოს, სახელმწიფო ბეჭედი ხელთ გქონდეს, გონიერი კაცი ყველაფერს გააკეთებს, — ჩააგონეს დირექტორს. მაგრამ გონიერნი თურმე ზოგჯერ დიდ უგუნურობასაც სჩადიან. მოამზადეს ყალბი ბრძანება ფასიანი სექციებისა და ფიზკულტურის კაბინეტის გაუქმების შესახებ. დაასვეს ბეჭედი და მორჩა... ნახვამდის ფიზკულტურა და სპორტო! ნახვამდის შენც ფიზკულტურის მასწავლებელო. აქ ოდნავ დაეჭვდნენ ავკაცები, მიზეზს საბაბი უნდაო. მაგრამ მალე საფუძველიც გამოინახა და მერე როგორი, სიტყვა სიტყვით მოგვყავს ბრძანების სრული ტექსტი:

„უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1965 წლის 13 ნოემბრის № 3/10403 ბრძანების საფუძველზე ა. წ. 1 დეკემბრიდან გაუქმდეს ტექნიკუმში არსებული ყველა ფასიანი სპორტული სექცია და გადაყვანილ იქნას საზოგადოებრივ საწყისებზე. ამასთან დაკავშირებით, ამავე რიცხვიდან გაუქმდეს ფიზკულტურის კაბინეტი". ბეჭედდასმული ბრძანების ასლი საქმეთა მმართველის ხელმოწერით იმ დღესვე გადასცეს ლილუაშვილს. ამ უცნაურ ბრძანებას ეჭვით შეხედა ახალგაზრდა პედაგოგმა. საქმეს ჩასდია და საბოლოოდ დარწმუნდა მის სიყალბეში. აქ კი უკან დაიხიეს ნირწამხდარმა „ყოვლისშემძლეებმა". დაუყვავეს აღელვებულ ახალგაზრდას: არავინ არაფერს გერჩის ძველებურად იმუშავეო. ახალგაზრდა პედაგოგი კვლავ აქტიურად უძღვებოდა თავის საქმიანობას. რამდენიმე თვის შემდეგ შურისმაძიებლებმა ისევ თვალთმაქცობას მიმართეს: სპეციალური ცენზი არა გაქვს და ამიტომ განთავისუფლებთო. შრომის წიგნაკშიც ჩაუწერეს ეს მიზეზი. ბრძანებაში (იგი ამჟამად ოფიციალურად დაიწერა) მიზეზზე არაფერია ნათქვამი. აი, ისიც: „ბრძანება № 24, 1 აგვისტო 1966 წ. § 8 ა. წ. 1 აგვისტოდან განთავისუფლდეს (წინასწარაც კი არ გააფრთხილეს) სამუშაოდან ფიზაღზრდის მასწავლებელი ლევან ლავრონის ძე ლილუაშვილი".

— მაინც რა იყო მიზეზი, რატომ სდევნით ახალგაზრდა პედაგოგს, — შევეკითხეთ დირექტორს. ჩვენ უფრო გამოცდილი პედაგოგი გვინდოდაო, მოგვიგო. იგი ხომ ინსტიტუტიდან პირველად თქვენთან მოვიდა პატივცემულო დირექტორო. თქვენ ეცადეთ კი ავტორიტეტი შეგექმნათ ახალგაზრდა პედაგოგისთვის, თქვენი მოქმედება ხომ თქვენსავე სიტყვებს აბათილებს.

სიმართლეს ფარდა აეხადა. მოსალოდნელი რისხვის მოლოდინმა ააფორიაქა დამნაშავენი. ისინი პროვოკაციასაც არ მოერიდნენ, რომ მათი „საქმენი საგმირონი" ქვეყანას არ შეეტყო. სიმართლეს განა წინ აღუდგება ვინმე?

ახალგაზრდა პედაგოგის სულიერი ტრავმისათვის დამნაშავენი უნდა დაისაჯონ.

თ. ბაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქ. ქუთაისი.

სიჭაბუკის

ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების თაობაზე

დორტმუნდის ჩემპიონატმა გაარკვია მსოფლიოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ურთიერთობა და თვითეულს რანგის მიხედვით მიუჩინა ადგილი. თუმცა სპორტულ ტანვარჯიშში წონასწორობა ერთობ მერყევია, მაგრამ დღეს შეიძლება თამამად ითქვას, საბჭოთა გუნდმა ნაწილობრივ აღიდგინა ტოკიოს თამაშებზე შერყეული პრესტიჟი.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ვაჟთა გუნდის ვერცხლის მედალი ერთგვარად გაუფერულდა. იაპონელებმა ამჯერად თავს ნება მისცეს უარი ეთქვათ თავიანთ ცნობილ „ულტრა-სიზე" და შედარებით იოლად, აშკარა დაძაბულობის გარეშე გაიმარჯვეს. ამომავალი მზის ქვეყნის ტანმოვარჯიშეები „ვესტფალენ-ჰალეს" ფიცარნაგზე კარგად, თანაბრად გამოვიდნენ და მათი 4,25-ქულიანი უპირატესობა როგორც დამაჯერებელი, ისე დამსახურებული გახლავთ.

თუმცა, იაპონელებმა მხოლოდ გუნდური გამარჯვება იზეიმეს. სპორტული სიმწიფით გაგვაოცა მ. ვორონინმა, რომელიც გამოცდილ ბრძოლებში დაუღალავ მეომრად მოგვევლინა. არ მახსოვს, მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონს მთელი ქულით გაესწროს უახლოესი მეტოქისთვის. მ. ვორონინმა კი ეს შეძლო. მისი უპირატესობა უცილობელი იყო, გამოუცდელი თვალისთვისაც კი შესამჩნევი, ხოლო ახალი ჩემპიონის მიერ მრავალჭიდში დაგროვილი 116,5 ქულა, ტანვარჯიშის სტატისტიკოსთა უბის წიგნაკების პირველ სტრიქონებში ჩაიწერება.

დორტმუნდში საბჭოთა გუნდი სამი თაობით იყო წარმოდგენილი. ვეტერანებმა — ბ. შახლინმა და ი. ტიტოვმა დიდება ვერ მოიმკეს „ვესტფალენ-ჰალეში", ისინი უმცროს თანაგუნდელებზე აშკარად სუსტად გამოვიდნენ. ალბათ, „შახლინის ეპოქა" ტანვარჯიშში ისტორიას ჩაბარდა. შესანიშნავი ოსტატები, რომლებმაც თავის დროზე არც თუ ცოტა ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს, ახლა იძულებულნი არიან შევიწროვდნენ. ვ. კერდემელიდი აზარტით, ტანვარჯიშული სტილით, სპორტული წარმატებებით გუნდის შუაგულში დგას. დღეს კი ტონს აძლევენ ახალგაზრდა სპორტსმენები, რომელთა სახელი სულ ახლახან გამოჩნდა.

მ. ვორონინმა და ს. დიომიდოვმა ცალკეულ იარაღებზე ოქროს მედლების გათამაშების დროს, თითქმის მთელი გუნდით ფიცარნაგზე გამოსულ იაპონელებს საშუალება არ მისცეს თვითონვე გაენაწილებინათ ჩემპიონატის ოქროს ფონდი. მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ბრწყინვალედ მოიგო რგოლებზე ვარჯიში, ვერცხლის მედლები დაიმსახურა ორძელსა და ტაიჭზე.

დიომიდოვს უფრო გაუჭირდა: არ ელოდა, რომ ტურნირის პირველ ორ დღეს დასანანი ჩავარდნები ექნებოდა იმ იარაღებზე ვარჯიშში, სადაც თავს ძლიერად გრძნობდა. იგი ძალზე დაცილდა ლიდერებს მრავალჭიდში, რამაც, რასაკვირველია, იმოქმედა მის საბრძოლო განწყობილებაზე. ამის მიუხედავად, ახალგაზრდა ტანმოვარჯიშემ მაინც შეძლო ძალის მოკრება და მისი ორძელზე შესრულებული კომბინაცია თითქმის უნაკლო იყო. „დიომიდი" — ოფიციალურად ასე უწოდებენ ალბათ ახლა მსოფლიო ჩემპიონატისთვის დიომიდოვის მიერ მომზადებულ უნიკალურ ელემენტს.

ახალგაზრდების შეტევა ფინიშამდე გრძელდებოდა. სიჭაბუკის ჰიმნი კიდევ უფრო ომახიანად ჟღერდა „ვესტფალენ-ჰალეში", როცა სარბიელზე გამოდიოდნენ ტანმოვარჯიშე ქალები. უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში საბჭოთა სპორტსმენმა ქალებმა პირველობა დათმეს. ვფიქრობ, ეს მარცხი არ არის, რომლის შემდეგ შეიძლება ჭმუნვას მიეცე. ეს თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს გუნდში სანახევროდ ჩვიდმეტწლიანი გოგონები გამოდიოდნენ.

ჩეხოსლოვაკიის გუნდი თავისი შემადგენლობით საოცრად თანაბარი და ჭაბუკურია (ყველაზე „ხნიერი" — ვ. ჩასლავსკა 24 წლისაა). მსოფლიო ჩემპიონების შედეგები ისეთი მჭიდრო იყო, რომ ძალზე ძნელი იყო მათ განლაგებაში შეჭრა. ვ. ჩასლავსკა უდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღელვარება და ფიქრები

რა დაედო საფუძვლად კიევის დინამოელთა წლევანდელ არნახულ წარმატებას? ეს საკითხი აინტერესებთ როგორც ფეხბურთის მოყვარულთ, ისე სპეციალისტებსაც. ისევე როგორც სხვა გუნდებს, წლეულს კიევის „დინამოსაც" გამოაკლდა მოწინავე მოთამაშეები — ვ. ბანიკოვი, ვ. სერებრიანიკოვი, ი. საბო, ვ. პარკუიანი. მათს გარდა გუნდში ერთ ხანს არ თამაშობდნენ ა. ბიბა და ვ. ხმელნიცკი. მაგრამ კოლექტივი ამ დანაკლისს, შეიძლება ითქვას, ვაჟკაცურად გაუმკლავდა.

შემთხვევითი როდი იყო მ. მიხაილოვისა და კ. პუშკარიოვის სტატია „კიევური გამოცანა", („ფუტბოლი", № 24 (316), სადაც კიეველთა გუნდზე იყო ლაპარაკი. წერილის ავტორთა აზრით, უკრაინელ ფეხბურთელთა წარმატება, პირველ ყოვლისა, მაღალხარისხოვანი ცვლით აიხსნება. საკმარისია დავასახელოთ ა. პუზაჩი, ვ. მუნტიანი, ა. ბიშევეცი, ე. რუდაკოვი და სხვ.

უნებურად მაგონდება: უკრაინაში ერთ დროს ისე ცუდად იდგა ბავშვებთან მუშაობის საქმე, რომ უფროსი თაობის შესაცვლელად კაცი არ მოიძებნებოდა. ეს იყო ნამდვილი საფეხბურთო კრიზისი. ცხადია, ცოტა დრო და მონდომება როდი დაჭირდა ამ საგანგაშო მდგომარეობიდან თავის დაღწევასა და წარმატების გზაზე გასვლას. ჩვენ უკრაინელ მეგობრებთან ერთად გვიხარია მათი გამარჯვება, მაგრამ ამ სიხარულს გარკვეული მღელვარება და ფიქრებიც ახლავს: როგორღაა ტყავის ბურთის ოსტატთა საიმედო ცვლის მომზადების საქმე ჩვენში, საქართველოში?

ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა. სწორედ ამიტომ, ოსტატთა ერთი თაობა განუწყვეტლივ უნდა შეცვალოს მეორე, უფრო ახალგაზრდა თაობამ. ეს სპორტის გარდუვალი კანონია.

ამას გარდა, აუცილებელია ყოველი მომდევნო თაობა წინას ჯობდეს. აუცილებელია იმიტომ, რომ ფეხბურთის განვითარების თანამედროვე დონეს არ ჩამოვრჩეთ.

ბავშვების ძირითადი მასა მოსწავლეებია. ამიტომ მართებული იქნებოდა სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მიექცეს მეტი ყურადღება ფეხბურთს. მაგრამ, სამწუხაროდ, დღესდღეობით ეს მხოლოდ ოცნებაა. ჩვენს ბავშვებს კარგა ხანია ენატრებათ ფართო ასპარეზი. კარგად მახსოვს: ერთ დროს, შუა თბილისში, „სობოროს" ეზოში, იქ, სადაც ახლა მთავრობის სასახლეა აღმართული, დილიდან საღამომდე არ წყდებოდა ბავშვების ხმაური და ჟრიამული. მახსოვს, რა ცხარე საფეხბურთო ბრძოლა ჩაღდებოდა ხოლმე! მეც იმ ადგილის ხშირი სტუმარი გახლდით, ბავშვებს შევარჩევდი და „დინამოში" მიმყავდა. ასე მგონია, ისეთივე ასპარეზი რომ დაგვებრუნებინა ბავშვებისთვის, ამით მხოლოდ მათ ფიზიკურ წრთობას როდი შევუწყობდით ხელს. ვფიქრობ, მაშინ ასე მწვავედ აღარ დადგებოდა რეზერვის საკითხი. მაგრამ ამგვარი ადგილის პოვნა ახლა მხოლოდ ოცნებაა.

ბევრს ახსოვს რა შესანიშნავი ფეხბურთელები მოგვცა ე. წ. „ქუჩის სკოლამ". გავიხსენოთ პ. დემენტიევი, გ. ფედოტოვი და ფეხბურთის ათეული სხვა ცნობილი ოსტატი. სწორედ ამ „ქუჩის სკოლას" უნდა ვუმადლოდეთ ბ. პაიჭაძისა და სხვა შესანიშნავ მოთამაშეთა გამოჩენას ფეხბურთის მინდორზე.

ვ. ფეოლა გულისტკივილით ამბობს, ბრაზილიაში ადგილი აღარ დარჩა ბავშვებმა რომ თავისუფლად სდიონ ბურთს, ეს კი დამღუპველ კვალს აჩენს ფეხბურთელთა საიმედო ცვლის აღზრდის საქმესო. ვინ იცის, შეიძლება სწორედ ამიტომ დატოვეს ბრაზილიელებმა ნაკრებში ფეხბურთელები, რომელთა თამაშის კლასი უკვე შესამჩნევად დაქვეითდა.

ახლა დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ მთელი იმედი დავამყაროთ განათლების სამინისტროსა და „შრომითი რეზერვების" ორგანიზებულ საფეხბურთო სკოლებზე, ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლასა და მოსამზადებელ ჯგუფებზე. აქ გაერთიანდება მოზარდთა ერთი, შედარებით ნიჭიერი ნაწილი, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს მასობრივ ფეხბურთს ბავშვთა შორის. მართალია, მას შემდეგ, რაც „ტყავის ბურთის" კლუბი შეიქმნა, გარკვეული პერსპექტივებიც გამოჩნდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ის მასშტაბები, რაც ჩვენ გვსურს.

ჩვენი მიზანი ხომ მხოლოდ ბავშვების ჯანმრთელობის გაკაჟება არ არის. ოსტატთა გუნდებისთვის ღირსეული ცვლის მომზადებაც მნიშვნელოვანი ამოცანა გახლავთ და იგი, როგორც ხედავთ, არც თუ იოლია. გზა კი ამ ამოცანის გადასაწყვეტად ერთია: ახლებურად უნდა დავაყენოთ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. საქართველოში უკვე არსებობს დამაკმაყოფილებელი პირობები საამისოდ და ეს საქმე ევალებათ საუკეთესო მწვრთნელებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს გ. გაგუას, ნ. ძიაპშიპას, ა. კიკნაძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელებს ს. სიხარულიძეს, თ. კუბლაშვილს, სპორტის ოსტატებს ვ. ბერეჟნოის, ვ. ელიაშვილს, მ. პირაევს, ი. შუდრასა და სხვ. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში ბავშვებთან მუშაობენ გამოცდილი მწვრთნელები, უმრავლესობას სპეციალური უმაღლესი განათლება აქვს. აღმზრდელთა ასეთი კადრით ბევრი რესპუბლიკა ვერ დაიტრაბახებს.

მაგრამ ჩვენი უპირატესობა მხოლოდ ეს როდია. საქართველოს საუკეთესო კლიმატური პირობები აქვს, რაც საშუალებას იძლევა მთელი წლის მანძილზე ვაწარმოოთ მეცადინეობა ღია ცის ქვეშ. ფაქტიურად, ჩვენში 2 სასწავლო წელი იგივეა, რაც 3 წელი სხვა რესპუბლიკებში. არც ბავშვები გვყავს სხვებზე ნაკლებად ნიჭიერი და საიმედო (თბილისის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდმა ხომ ყველას აჯობა ამასწინანდელ საკავშირო გათამაშებაში). ყველაფერი ეს ასეა და, მიუხედავად ამისა, რეზერვების მომზადების საქმე ჯერ კიდევ ვერ მოვაგვარეთ. სავსებით სამართლიანად ჩივიან ოსტატთა გუნდების მწვრთნელები ამის თაობაზე.

ბუნება ულმობლად იცავს თავის კანონს, რომლის ძალითაც დრო მოვა და გამოცდილმა სპორტსმენებმა ადგილი სხვებს უნდა დაუთმონ. ჩვენი შესანიშნავი ფეხბურთელები ს. მეტრეველი, მ. მესხი, შ. იამანიძე, ვ. ბარქაია, ს. კოტრიკაძე და სხვები ახალგაზრდებმა უნდა შეცვალონ, მაგრამ ვინ? ვინ გამოვა მათს ნაცვლად მინდორზე? შეგვიძლია თუ არა გულდამშვიდებული ვიყოთ ჩვენი ფეხბურთის მომავლით? არა. ეს ჯერ ნაადრევია, ამიტომ რაღაც უნდა ვიღონოთ.

ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელები თავადაც უკმაყოფილონი არიან თავიანთი შრომით და შეიძლება ინტერესიც კი დაკარგეს მუშაობისა. და ეს არცაა გასაკვირი: ისინი ახალგაზრდები არიან, თანაც სპორტსმენები და სულაც არ სურთ ჩამორჩნენ.

საშუალებები, მეთოდები და ფორმები, რომლითაც მწვრთნელები ხელმძღვანელობენ, მოძველდა. სწორედ ამიტომ, გუშინდელი მეთოდებით ხვალინდელი დღისთვის მზადება არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს.

ერთი საკუთარი თვალით ნახეთ, როგორ ატარებს მეცადინეობას ბავშვებთან ჩვენი მწვრთნელების უმეტესობა და თქვენთვის ბევრი რამ გახდება ნათელი. მაშინ გაიგებთ, საიდან მოდის ჩვენი ფეხბურთელების ეს საცოდავი ერთფეროვნება და მიმბაძველობა. თითქმის სრულიად უგულებელყოფილია გამომგონებლობა და იმპროვიზაცია. არის მხოლოდ უსიცოცხლო, უსულგულო, შემოქმედებით ინიციატივას მოკლებული სქემები. ყველაფერს მზამზარეულს ვაწვდით ჩვენს აღსაზრდელებს, ვფიქრობთ კიდეც მათ მაგიერ. სწავლების პირველივე დღიდანვე მათ ვძლევათ წინასწარ ჩამოყალიბებული, შაბლონური ტაქტიკური ნახაზები. მომავალი ოსტატებისგან რატომღაც არ მოვითხოვთ საკუთარ, ორიგინალურ ჩანაფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებას, ე. ი. სრულიად არ ვიყენებთ ბავშვის ცოცხალ გონებას, მის ნიჭიერებას.

ხშირად გვითქვამს შურით, რომ უცხოელი ფეხბურთელები თამაშის დროსვე აანალიზებენ ტაქტიკას და დამოუკიდებლად, თავად ცვლიან მას საჭიროების მიხედვით. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. კაჩალინმა ერთ-ერთ თავის წერილში პირდაპირ აღნიშნა, ასეთი მოთამაშეები ჩვენ თითებზე ჩამოსათვლელი გვყავსო. კი მაგრამ, საიდან გვეყოლება? მებაღე არ ელის ნაყოფს იმ ხისგან, რომელიც არ დაურგავს და არ გაუზრდია. ჩვენ კი გვსურს გვყავდეს ჩვენი პელე და ეუსებიო. პირდაპირ საოცარია!

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ყოველივე ამაში მხოლოდ მწვრთნელებს როდი მიუძღვით ბრალი. დამნაშავეა რაღაც მეტისმეტად რეგლამენტირებული, თითქმის „შპარგალკიდან" გადმოწერილი ფეხბურთი. სწორედ ამიტომ აღარ მიგვაჩნია საჭიროდ თავის შეწუხება სიახლეთა ძიებით, შემოქმედება, გონების დაძაბვა, ცოდნის გამდიდრება. მწვრთნელებიც თანდათან მოეშვნენ და მთავარ ამოცანად ქულების დაგროვებისთვის ბრძოლა დაისახეს. მოიგე? ვაშა! ყველაფერი რიგზეა, მიიღე ჯილდო, მიიღე წოდება. წააგე? ვაი, შენი ბრალი, კარგი დღე არ დაგადგება.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო ცოტა ყურადღებას როდი უთმობს ბავშვთა ფეხბურთს. როგორ შეიძლება არ მიესალმო მეკარეთა მოსამზადებელი საგანგებო ჯგუფების შექმნას. მეკარე გადამწყვეტი ფიგურაა ფეხბურთში. საქართველოს მეკარეთა მოსამზადებელი ჯგუფის ხელმძღვანელი მ. პირაევი — წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ვფიქრობ უნარიანად გაუძღვება დავალებულ საქმეს და წარმატებით გადაწყვეტს საპატიო ამოცანას.

მაგრამ, ასეა თუ ისე, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენი ფეხბურთის შემდგომი პროგრესისთვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა ბავშვებთან მუშაობის სრული გარდაქმნა, ახალი თაობის მაღალკვალიფიციური აღზრდა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა ვიღონოთ?

მე მგონია ამ უპირველესი მნიშვნელობის კითხვას უპასუხოდ არ დატოვებენ ჩვენი სპეციალისტები, ოსტატები და ყველა ის, ვისაც აღელვებს ქართული ფეხბურთის მომავალი. ჩუმად ყოფნა ახლა დანაშაულია.

მეც ვიტყვი მოგვიანებით ორიოდე სიტყვას, მეც გამოვთქვამ ჩემს აზრს და საქმიან კამათში დაიბადება ჭეშმარიტება.

ა. გალპერინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ოსტატ ფეხბურთელთა ღირსეული ცვლის აღზრდის საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია ბავშვთა შორის მუშაობის პრობლემებთან. ეს მუდამ იყო და არის ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი უბანი, რომელიც განსაზღვრავს მომავალ წარმატებათა მასშტაბებს.

„ლელო" თხოვნით მიმართავს მოზარდ ფეხბურთელებთან მომუშავე ყველა მწვრთნელს, სპეციალისტს, ფიზკულტურულ მუშაკებს, გამოეხმაურონ ამ წერილს, გამოთქვან თავიანთი აზრი ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე და პრაქტიკული წინადადებებით ხელი შეუწყონ საერთო საქმის წინსვლას. რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ დაინტერესებული პირები მონაწილეობას მიიღებენ ქვემოთმოყვანილ წერილში წამოჭრილი საკითხების განხილვაში და გამოგვიგზავნიან თავიანთ მოსაზრებებს.

ოლიმპიადა გაიხსნა

3 ოქტომბერს ქალაქ ობერჰაუზენის (გფრ) რატუშის შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქალთა III საჭადრაკო ოლიმპიადა. კენჭისყრის შემდეგ სატურნირო ცხრილში გუნდები ასე განაწილდნენ: 1. პოლონეთი, 2. იუგოსლავია, 3. აშშ, 4. ავსტრია, 5. ინგლისი, 6. გდრ, 7. რუმინეთი, 8. სსრ კავშირი, 9. ბულგარეთი, 10. დანია, 11. უნგრეთი, 12. ჩეხოსლოვაკია, 13. ჰოლანდია, 14. გფრ.

სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში არიან ნ. გაფრინდაშვილი, ვ. კოზლოვსკაია და სათადარიგო ტ. ზატულოვსკაია.

I ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები ხვდებიან რუმინეთის გუნდს. ნ. გაფრინდაშვილი ითამაშებს საერთაშორისო ოსტატ ა. ნიკოლაუსთან, ხოლო ვ. კოზლოვსკაია — საერთაშორისო ოსტატ ე. პოლიქრონიადესთან.

ოლიმპიადა 16 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

●

შვეცია აღტაცებულია

როგორც ვიუწყებოდით, შვეციის ქალაქებში წარმატებით გამოდის სსრ კავშირის მოტოციკლისტთა ნაკრები გუნდი. სტოკჰოლმის გაზეთებმა საბჭოთა სპორტსმენებს „წიდიანი ბილიკების რაინდები" უწოდეს. მართლაც, ჩვენი ქვეყნის ნაკრები გასაოცარ გამბედაობას და მაღალ ტექნიკურ მომზადებას ავლენს მოტოსპორტის ამ ურთულეს სახეობაში.

გუშინწინ გაიმართა სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრები გუნდების ბოლო შეხვედრა. წარმატება ამჯერადაც წილად ხვდათ საბჭოთა მოტოციკლისტებს — 49:46. ასპარეზობაში თავი გამოიჩინა უფელზა ი. პლეხანოვმა. მასპინძელთა გულწრფელი აღიარებით, „ასეთი მაღალი კლასის, გაბედული და აზარტული მებრძოლი შვეციაში არასდროს გამოსულა".

ჰიმნი

ვოდ მსოფლიოს უძლიერესი ტანმოვარჯიშეა, თუ სათითაოდ 4 იარაღზე არა, მრავალჭიდში აუცილებლად. ჩეხოსლოვაკიის გუნდში მე შევნიშნე ერთი ნაკლი, ისიც არც ისე ძალზე არსებითი: ჩასლავსკასა და ი. კუბიჩკოვას გარდა, გუნდის ყველა მონაწილე ძალზე გვანან ერთმანეთს ფიცარნაგზე და ხომ იცით, ტყუპი ვარჯიშები მეხსიერებაში არ რჩება.

მე ვამჩნევ, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებს სწორედ ერთმანეთისგან გამოარჩევს შესრულების სტილით. ნორჩი ო. ხარლოვა სარბიელზე ლ. ლატინინას სრულებით არ ჰგავს, პ. ასტახოვას სიმსუბუქე და იქვე — ლ. პეტრიკის მგზნებარე ტემპი, შესრულების კადნიერება. ნ. კუჩინსკაია — ეს პირველ ყოვლისა, აკადემიზმი და არტისტიზმია, ხოლო ზ. დრუჟინინა შესანიშნავი მოცეკვავეა, ალბათ, მეტოქეობასაც კი გაუწევდა მოისეევის ანსამბლის ყოველ სოლისტს. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ სწორედ აქ აღმოჩნდა მისი შედეგები განსაკუთრებით მაღალი.

17 წლის ლენინგრადელი სტუდენტის ნ. კუჩინსკაიას დორტმუნდის დებიუტი ნამდვილად ტურნირის სენსაცია იყო. მრავალჭიდში მან ოლიმპიურ ჩემპიონთან ჩასლავსკასთან წააგო მხოლოდ 0,201 ქულით. ცალკეულ იარაღებზე ჩემპიონობის გათამაშებისას იგი შეუდარებელი იყო — დაისაკუთრა ოქროს 3 მედალი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა შეძლო გამარჯვების მოპოვება მხოლოდ ხტომებში. ყველაზე საგრძნობი მხარდაჭერა ნორჩ ჩემპიონს გაუწიეს მისმა ტოლებმა — პეტრიკმა და 19 წლის დრუჟინინამ, რომლის თავისუფალ ვარჯიშში გამოსვლა ჩემპიონატის ყველაზე მაღალი შეფასებით აღინიშნა — 9,933. როგორც ვაჟებში, ისე აქაც, ვეტერანებმა, გამოცდილმა ტანმოვარჯიშეებმა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ კონკურენციას ვერ გრძნობდნენ სარბიელზე, ახალგაზრდების შეტევების საწინააღმდეგოდ ვერაფერი გააწყვეს.

ტანვარჯიში უფრო საინტერესო გახდა: ასეთია უცილობელი დასკვნა, რომელიც დორტმუნდის ჩემპიონატმა გამოიტანა. იგი საინტერესო გახდა სპორტული თვალსაზრისით: უმაღლესი ტიტულისთვის დღეს იბრძვიან სპორტსმენები არა ერთი ან ორი ტრადიციული ტანვარჯიშული ქვეყნისა, არამედ პირად და გუნდურ ჩათვლაში კონკურენცია გაფართოვდა. ტანვარჯიში საინტერესო გახდა სანახაობრივადაც: ვარჯიშები გართულდა, მაგრამ არ დაკარგა მიმზიდველობა, ურთულესი ელემენტები სრულდება ძალდაუტანებლად. უცბად ვერც კი შეამჩნევ, რომ ეს-ეს არის ნახე „ულტრა-სი", რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ სპორტული სამყარო განცვიფრებაში მოჰყავდა. ამერიკელმა ტანმოვარჯიშე ქალმა (იცოდეთ, აშშ არასდროს არ წარმოადგენდა მკაფიო ტანვარჯიშულ ქვეყანას) დ. ბრაუზემ ორძელზე ვარჯიშში აჩვენა საოცრად რთული კომბინაცია. თითქოს მას ვარჯიშს აკლდა წმინდა ვაჟური ურთულესი ელემენტები. დიდად გამოცდილი მსაჯები ისე დაიბნენ, რომ ბრაუზეს კარგა ხანს ვერ გამოუტანეს „განაჩენი". სამაგიეროდ, არ იძუნწეს — 9,766. შეიძლება იკამათო იმის შესახებ, რომ საჭიროა თუ არა ქალთა ტანვარჯიშში ასეთი არაადამიანური რთული ელემენტები. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: სხვადასხვა ქვეყნის ტანმოვარჯიშეები თავიანთთვის სპორტის ამ ახალგაზრდა სახეობაში ახლის ძიებაში არიან და წარმატებით მიდიან წინ.

ამ ბედნიერ ძიებაში ლიდერობენ ახალგაზრდები. დორტმუნდის ჩემპიონატმა დაამტკიცა ეს, ერთმანეთს დაუპირისპირა გუშინდელი და დღევანდელი ჩემპიონები. უცილობელი უპირატესობა ახალგაზრდების მხარეზე აღმოჩნდა. აი, რატომ მწამს, რომ ზოგიერთი წარუმატებლობის მიუხედავად, საბჭოთა გუნდისათვის ჩემპიონატის საერთო შედეგი წარმატებითი აღმოჩნდა: სსრ კავშირის ნაკრებში მთავარ როლს თამაშობენ დღეისთვის სულ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეები, რომელთაც თავიანთი ნიჭიერება დაამტკიცეს „ვესტფალენ-ჰალეს" სარბიელზე. ისინი ალბად გვასახელებენ მეხიკოშიც.

ტ. კოდოპრიგორა,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მ. ვორონინი ორძელზე ვარჯიშისას.

ტელეფოტო აპ-საკდესისა.

ფეხბურთი

ფეხბურთი და წელიწადის ყველა დრო

ფეხბურთისადმი ინტერესი წელიწადის ყველა დროში ერთნაირია. ძალზე ცოტაა ისეთი გულშემატკივარი, რომელსაც არ აღელვებს სპორტი № 1.

შეჯიბრება მწვანე მინდორზე უამრავია. ფეხბურთის გულშემატკივრებს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ დავა მსოფლიო პირველობაზე, ევროპის სტადიონებიდან კი რედაქციებში სულ ახალ-ახალი „ელვა“ ცნობები მიდის.

აგვისტოში კიდევ 2 პოპულარული საფეხბურთო ტურნირი დაიწყო: ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება. შეჯიბრებათა სახელწოდება კარგად ასახავს ამ ტურნირების არსს: ერთში მონაწილეობენ ჩემპიონები, მეორეში კი — თასების მფლობელნი.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ამ ტურნირებში მონაწილეობაზე წლების მანძილზე უარს ამბობდა. ფედერაციის აზრით, შეჯიბრებათა კალენდარი ჩვენთვის არახელსაყრელი იყო, თუმცა მსოფლიოს წამყვან კლუბებთან თამაშის შესაძლებლობა ბევრს ხიბლავდა. და აი, ნელ-ნელა ჩვენმა ფეხბურთმა სრულწლიური სახე მიიღო.

ერთი სიტყვით, ფედერაციაში გადაწყვიტეს ცდა ბედის მონახევრეაო. არჩევანი კიევის დინამოელებზე შეჩერდა. თასების მფლობელთა თასის შარშანდელ გათამაშებაში უკრაინელმა ფეხბურთელებმა მეოთხედფინალამდე მიაღწიეს, შემდეგ კი გზა შოტლანდიის „სელტიკს“ დაუთმეს. წელს კიევის „დინამო“ მოსკოვის „სპარტაკმა“ შეცვალა. ჩვენი ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედო“ კი ძალებს მეორე ტურნირში ცდის.

ავტოქარხნელთათვის წილისყრა ძალზე მკაცრი გამოდგა. „ტორპედო“ პირველსავე მატჩში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდს — მილანის „ინტერნაციონალეს“ შეხვდა. „ინტერმა“ ორჯერ — 1963-64 და 1964-65 წლებში მოიგო საკონტინენტთაშორისო პრიზი — „ოქროს ბურთი“, „სამრაუნდიან“ ბრძოლაში დაამარცხა არგენტინის „ინდეპენდიენტე“.

ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივარმა იხილა ტელეგადმოცემა მილანიდან. ჩვენ მოწმენი ვიყავით თუ როგორ ვაჟკაცურად იბრძოდა „ტორპედო“ „ინტერს“, როგორ არ გვწყალობდა ბედი (ბურთი ჩვენს კარში შემთხვევით გავიდა), როგორი არაობიექტური იყო დასავლეთგერმანელი მსაჯის ჩენჩერის გადაწყვეტილებები და ა. შ. იტალიელებმა მოგვიგეს მხოლოდ მინიმალური უპირატესობით. ჩვენ ისიც გვახსოვს, რომ „ინტერის“ მწვრთნელმა, სახელგანთქმულმა ერერამ მოსკოვში ყოფნისას ახსენა ანგარიში — 3:0, როგორც წარმატების გარანტია. „ტორპედოს“ საპასუხო მატჩი დარჩა მოსკოვში. იმისათვის, რომ ჩვენმა გუნდმა ბრძოლა განაგრძოს, საჭიროა „ინტერის“ სულ ცოტა 2 ბურთით დამარცხება.

მოსკოვის „სპარტაკმა“, როგორც ცნობილია, ევროპული ტურნირის პირველი მატჩი მოიგო ანგარიშით 3:1. საპასუხო შეხვედრაში, რომელიც დღეს მოსკოვში ჩატარდება, სპარტაკელებს წარმატების მეტი შანსი აქვთ. ასეთია მდგომარეობა დღეისთვის.

ახლა კი მოკლე ისტორიული ექსკურსი. ამბობენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ერთ-ერთი ინიციატორი მოსკოვის „სპარტაკიც“ არისო. 1954 წელს ჩვენს გუნდს მოუგო ცნობილმა ინგლისურმა კლუბმა „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა“. შემდეგ „მგლებმა“ (ასე უწოდებენ თავიანთ თავს ინგლისელები) დაამარცხეს უნგრეთის „ჰონვედი“ და თავი კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონად გამოაცხადეს.

„მოითმინეთ, ჯერ ადრეა ზეიმი, — გააფრთხილა ისინი ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა“, — ამ ტიტულზე პრეტენზიას სხვა, თქვენზე არანაკლებად ძლიერი კლუბებიც აცხადებენ“. 1955 წელს „ეკიპმა“ წამოაყენა წინადადება ტურნირის მოწყობაზე, რომელსაც კონტინენტის ნამდვილად უძლიერესი საკლუბო გუნდი უნდა გამოევლინა.

საინტერესოა, რომ ამ წამოწყების ყველაზე დაუძინებელი მტერი ევროპის საფეხბურთო ასოციაციის კავშირი (უეფა) გახდა. მაგრამ ჟურნალისტებმა იოლად როდი დაყარეს ფარ-ხმალი, პრესა მათ ხელში იყო და ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ ბოლოსდაბოლოს მიაღწიეს იმას, რომ ფიფა-მ უეფა-ს ტურნირის ჩატარება დაავალა.

[illegible]

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასში ყოველი ქვეყანა მხოლოდ ჩემპიონს აგზავნის. გუნდი, რომელიც მოიპოვებს ამ საპატიო ტიტულს, ავტომატურად მონაწილეობს მომდევნო გათამაშებაში. ამ ქვეყნის მეორე გუნდიც, თუ მას სურს ტურნირში მონაწილეობა, აუცილებლად ჩემპიონი უნდა იყოს და არა მეორე პრიზიორი. ასე მაგალითად, თასის ახლანდელი მფლობელია მადრიდის „რეალი“. ესპანეთის ჩემპიონი კი „ატლეტიკო“ გახდა. ამიტომ, ახალ ტურნირში, ამ ქვეყნის 2 გუნდი თამაშობს.

გათამაშების ყველა სტადიაში, ფინალის გარდა, კლუბები ერთმანეთს 2-ჯერ ხვდებიან — საკუთარ და მეტოქის მოედანზე. ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში უძლიერესი ბურთების შეფარდებით ვლინდება, თუ მაჩვენებლები აქაც ერთნაირია, მაშინ ინიშნება მესამე დამატებითი შეხვედრა. მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, გამარჯვებულს წილისყრა განსაზღვრავს.

კლუბს, რომელიც ერთადერთ ფინალურ მატჩს მოიგებს (მეტწილად ნეიტრალურ მინდორზე) ერთი წლით ვერცხლის გარდამავალი თასი ეძლევა, სამუდამოდ კი მისი ასლი და 11 ოქროს მედალი (მხოლოდ ფინალის მონაწილეებს).

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის I გათამაშებაში 16 კლუბი მონაწილეობდა. ამჟამად მათი რაოდენობა ერთი-ორად გაიზარდა.

1955-56 წ. წ. მოყოლებული საპატიო თასის მფლობელი 5-ჯერ ზედიზედ (1960 წლის ჩათვლით) მადრიდის „რეალი“ იყო, გუნდი რომელშიც თამაშობდნენ სახელგანთქმული არგენტინელები დი სტეფანო, რიალო, ბრაზილიელები — კანარიო, ამანსიო, ურუგვაელები — სანტამარია, დომინგეცი, ფრანგი კოპა და სხვ. 1960-61 და 1961-62 წლების გათამაშებაში პორტუგალიის „ბენფიკამ“ იმარჯვა. შემდეგ თასის მფლობელთა შორის იყვნენ: „მილანი“ (იტალია) და „ინტერნაციონალე“ (ორჯერ). მიმდინარე წლის მაისში „რეალმა“ დაიბრუნა დაკარგული თასი, დაამარცხა რა ფინალში იუგოსლავიის „პარტიზანი“ — 2:1.

თასების მფლობელთა თასის გათამაშება 1960 წელს დაარსდა. მისი მფლობელები იყვნენ: „ფიორენტინა“ (იტალია), „ატლეტიკო“ (ესპანეთი), „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ინგლისი), „სპორტინგი“ (პორტუგალია), „ვესტ ჰემი“ (ინგლისი). წელს თასი „ბორუსიამ“ (გფრ) მოიგო.

ა. ერმაკოვი.

ციგურებით საათში... 60 კმ

ამერიკელი ალ ნიკოლასი ყოფილი მოთხილამურეა. ზაფხულობით იგი ბურთულებიან ციგურებზე ვარჯიშობს. და აი ერთ დღეს მან გადაწყვიტა შეექმნა ახალი სპორტული „აგრეგატი“ — ბურთულებიანი ციგურები ძრავით. ალ ნიკოლასმა ციგურებს მიუმაგრა მინიატურული ძრავა, რომელიც მავთულების საშუალებით წელზე შემორტყმულ ქამართან იყო დაკავშირებული.

ამ ახალი ტიპის ციგურებზე სპორტსმენი საათში 60 კილომეტრს ავითარებს. საკმარისია ძრავის ხელით გამორთვა და ციგურებიც სისწრაფეს უკლებს.

მოტოციგურებს კარტინგთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობა აქვს. პირველ რიგში, იგი სპორტსმენებისგან მაღალ და დახვეწილ ოსტატობას მოითხოვს. შემდეგ, მოვარჯიშე უფრო ახლო კავშირშია ძრავასთან და ბოლოს, სისწრაფის შეგრძნება ამ შემთხვევაში უფრო მეტი და სასიამოვნოა. ალ ნიკოლასის აზრით, „ბურთულებიან მოტოციგურებს დიდი მომავალი აქვს. იგი სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობის დასაბამი იქნება“.

ფოტო „ბუნტე ილუსტრირტესი“ (გფრ).

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

„ლელოს“ საკუთარი ინფორმაცია

● „ბორუსია“ მეჩვიდმეტეა

გფრ-ის ჩემპიონატის VI ტურში ქვეყნის ჩემპიონმა „მიუნჰენ 1860“ დაამარცხა „კაიზერსლაუტერნი“ 3:0, ხოლო თასის მფლობელმა „ბაიერნმა“ (მიუნჰენი) ესენში წააგო ადგილობრივ „როტვაისთან“ 1:3. მორიგი დამარცხება განიცადა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელმა დორტმუნდის „ბორუსიამ“. მას მოუგო „ნიურნბერგმა“ 2:0. „ბორუსია“ ამჟამად სატურნირო ცხრილში მე-17 ადგილზეა.

	თ.	ბ.	ქ.
„აინტრახტი“ (ბრაუნშ.)	6	7:3	9
„კაიზერსლაუტერნი“	6	13:8	9
„აინტრახტი“ (ფრანკფ.)	6	15:6	8
„მაიდერიხერ შფ“	6	8:6	8
„ფორტუნა“ (დიუსელდ)	6	8:8	7

● 3 ლიდერი

პორტუგალიის ჩემპიონატის II ტურში ლისაბონის „სპორტინგმა“ — ქვეყნის ჩემპიონმა წააგო „პორტოსთან“ 0:1. „ბენფიკამ“ მოუგო „ლეიქსოესს“ 3:1, ხოლო ბრაგას „სპორტინგმა“ დაამარცხა ლისაბონის „ატლეტიკო“ — 1:0. სატურნირო ცხრილს 4-4 ქულით ლიდერობენ „პორტო“, „ბენფიკა“ და კუფ-ი.

● ლიდერობს „ტრნავა“

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატის VIII ტურში „ტრნავამ“ მოუგო „ბოჰემიანსს“ — 3:0. ორი გოლი გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ადამეცმა. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ინტერ“ (ბრატისლავა) — „ბრნო“ 1:3, „კოშიცე“ — „სპარტა“ 1:1, „სლოვნაფტი“ — „ლოკომოტივი“ 1:1, „დუკლა“ — „ტეპლიცე“ 3:0, „სლავია“ — „ჰრადეც-კრალოვე“ 1:3.

	თ.	ბ.	ქ.
„ტრნავა“	8	21:6	14
„სლოვნაფტი“ (ბრატ.)	8	12:4	12
„სლავია“ (პრაღა)	8	18:14	12
„დუკლა“ (პრაღა)	8	24:5	11
„სპარტა“ (პრაღა)	8	19:12	10

● ლ. პუშკაში და ფარკაში — სნაიპერები

უნგრეთის ჩემპიონატის XIX ტურში დიორის „ვაშაშ-დიორმა“ ფრედ (1:1) დაამთავრა შეხვედრა „უიპეშტ-დოჟასთან“. ერთადერთი ბურთი მეტოქის კარში გაიტანა სტუმრების მარჯვენა მცველმა კაპოსტამ. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ვაშაში“ — „დუნაივაროში“ 0:0, „ფერენცვაროში“ — „პეჩი“ 3:0, „დიოშდიორი“ — „ჩეპელი“ 2:0, „ტატაბანია“ — „დოროგი“ 4:1, „ჰონვედი“ — — „შალგოტარიანი“ 4:1. ჩემპიონატის სნაიპერთა სიას ლიდერობენ ლ. პუშკაში და ფარკაში (ორივენი — „ვაშაში“) — 17-17 ბურთი. ალბერტს („ფერენცვაროში“) 15 გოლი აქვს გატანილი.

	თ.	ბ.	ქ.
„ვაშაში“	19	49:19	31
„ფერენცვაროში“	19	45:25	26
„ჰონვედი“	19	38:25	26
„ტატაბანია“	19	32:14	23
„უიპეშტ დოჟა“	19	48:27	22

ფეხბურთი

ყოველი მხრიდან

გრენობლის ოლიმპიური ცხოვრება

„ორი თვის წინათ რომ ვინმე ჩასულიყო გრენობლიდან 63-ე კმ-ით დაშორებულ ალპ დ'იუეზში, სადაც 1967 წელს გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი ბობსლეიში, ხოლო მომდევნო წელს ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ბობსლეისტთა ასპარეზობა, ვერავინ შეამჩნევდა ტრასების კვალსაც კი. ახლა ყველაფერი შეიცვალა. აქ მოვიდნენ მშენებლები და მომავალმა ტრასებმა მიიღეს კონკრეტული ფორმები“, — წერს ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმე“.

ეს იმ გრანდიოზული მუშაობის ერთ-ერთი ნაწილია, რომელიც გრენობლში ახლა მიმდინარეობს. ოლიმპიურ ქალაქში შენდება ბევრი ახალი ნაგებობა და შემთხვევითი არაა, საფრანგეთის პრესა რომ წერს: „ოლიმპიური თამაშების შემდეგ გრენობლი იქნება საფრანგეთის ერთ-ერთი თანამედროვე ქალაქი. წინასწარი გამოანგარიშებით, ოლიმპიადისწინა მშენებლობა დაჯდება დაახლოებით მილიარდი ფრანკი (ახალი კურსით).

ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონია ჩატარდება გრენობლის საფეხბურთო სტადიონზე, რომლის ტრიბუნები რეკონსტრუქციის შემდეგ 40 ათას მაყურებელს დაიტევს. უკვე მზადაა და გასინჯულია სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრების დისტანციები. აქ წლეულს ფრანგმა სპორტსმენებმა ჩაატარეს ქვეყნის ჩემპიონატი. ნაკრების მწვრთნელმა ონორე ბოლემ განაცხადა: „ტრასები შესანიშნავია, ღირსია მათზე იასპარეზონ ოლიმპიელებმა“. 1967 წლის თებერვალში გრენობლში განზრახულია ჩატარდეს მსოფლიოს უძლიერეს სამთო-მოთხილამურეთა შეჯიბრება.

თებერვალში დამთავრდება 90-მეტრიანი ოლიმპიური ტრამპლინის აგება. ჰოკეისტთა და ფიგურისტთა შეჯიბრებებს ყინულის ახალ სასახლეში შეუძლია დაესწროს 12 ათასი მაყურებელი. „გრენობლისთვის უკვე კარგა ხანია დაიწყო ოლიმპიური ცხოვრება“, — წერს ფრანგული გაზეთი „იუმანიტე“.

ტრადიციული ჩხუბი

უკანასკნელ წლებში, დიდი ბრიტანეთის გუნდების „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ ფეხბურთელთა მატჩების დროს მუშტი-კრივი ტრადიციად იქცა. სტატისტიკის მოყვარულებმა გამოთვალეს, რომ 5 წლის განმავლობაში გულშემატკივართა აყალმაყალის შედეგად 40-ზე მეტი კაცი ხეიბარი გახდა, ხოლო 300-ს საავადმყოფოში მიუჩინეს ბინა.

ამჯერადაც ეს სამწუხარო ტრადიცია გაგრძელდა. უკვე პირველი ტაიმის ბოლოს, ტრიბუნებზე ატყდა საშინელი ჩხუბი. პოლიციელები იძულებული იყვნენ ჩარეულიყვნენ საქმეში. ისინი გარს შემოერტყნენ 14 ყველაზე გამძაფრებულ მოჩხუბარს და დააპატიმრა ისინი, მაგრამ ამან როდი დააშოშმინა მაყურებელი. როცა დაპატიმრებულნი მანქანებისკენ მიყავდათ, პოლიციელებს თავს დაესხნენ „რეინჯერსის“ ფანატიკური გულშემატკივრები.

როცა ტრიბუნები დაცარიელდა, აღმოაჩინეს ორი თავგატეხილი კაცი, 80 მაყურებელი სასწრაფოდ მოათავსეს საავადმყოფოში. ამასთან დაკავშირებით, ინგლისური გაზეთი „პიპლი“ წერს: „სელტიკმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ხშირდება კი ინგლისის ფეხბურთს ასეთი გამარჯვებები?!“. კითხვა სავსებით სამართლიანია.

ედმონდო ფაბრი და დეტექტივები

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ედმონდო ფაბრის ყველა ესხმოდა თავს: გულშემატკივრები, ფეხბურთის სპეციალისტები და სპორტის ამ სახეობის ფედერაციის წარმომადგენლები. როგორც კი ცნობილი გახდა ფაბრის გადაყენების ამბავი, იტალიაში გაჩაღდა პირუკუ რეაქცია. გაზეთებში დაიბეჭდა სტატიები და შენიშვნები, რომ იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების დამარცხებაში დამნაშავე არიან ფედერაციის ხელმძღვანელები, გუნდის უფროსები და არა მწვრთნელი.

მილანში შეიქმნა ახალი საზოგადოება: „ედმონდო ფაბრის მეგობრების კლუბი“. კლუბის წესდებაში ნათქვამია:

„კლუბი თავის მთავარ ამოცანად თვლის: უარყოს ყველა დანაშაული, რომელიც იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილ მწვრთნელს წაუყენეს. ფაბრის ყველაფერი გადააბრალეს, რომ ფედერაციის ხელმძღვანელებს თავიანთი დანაშაული დაეფარათ. ყველაფერს გავაკეთებთ ფაბრი რომ გამართლდეს და ისევ დაუბრუნდეს ეროვნულ ნაკრებს“.

ამჟამად კლუბის წევრების მიერ შეტანილი გადასახადებითა და სხვა თანხების საშუალებით, ადმინისტრაციამ დაიქირავა კერძო დეტექტივები, რომელთაც ასეთი დავალება მისცა, გაარკვიოს: მსოფლიო ჩემპიონატის დროს იტალიის ფეხბურთელების მიერ დოპინგის მიღების საქმე; ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებიდან ვინ და რა დანაშაული წაუყენა მწვრთნელს; ვინ უშლიდა ხელს ფაბრის ჩემპიონატისათვის მზადების პერიოდში და ვინ იყო ნაკრების შექმნის პასუხისმგებელი.

ახალი ამბების სააგენტო.

ჭადრაკის მერიდიანებზე

ჰააგა. მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში 12 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 9,5, ი. ბილეკი (უნგრეთი), ჰ. პფლეგერი (გფრ) — 8-8 ქულა 11-დან, დ. ველიმიროვიჩი (იუგოსლავია), — 7,5, ი. დონერი (ჰოლანდია) და ლ. კავალეკი (ჩეხოსლოვაკია) — 7-7.

ცინოვიცი (გდრ). აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში განვლილია 7 ტური. ლიდერობენ საერთაშორისო ოსტატები რ. ფუქსი (გდრ) და ვ. ჩოკილტია (რუმინეთი) — 5,5-5,5 ქულა. დიდოსტატ ვ. ულმანს (გდრ) 5 ქულა აქვს, საბჭოთა დიდოსტატ ვ. ანტოშინს კი — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ არენაზე

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. 9 ოქტომბერი. სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი. „**დინამო**“ (კიევი) — „**დინამო**“ (მინსკი). დასაწყისი 16 ს. დანომრილი ფასიანი აბონემენტები ამ მატჩზე გაუქმებულია.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **5-11 ოქტომბერი.** უძლიერეს ოსტატობის კანდიდატთა შესარჩევი ტურნირი. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცк-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 06069